



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 529/ს  
05/10/2023

529-21-4-202310051020



### **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ნერგის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ნერგის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე სამელიორაციო (სარწყავი) სისტემა უკვე მოწყობილია. აღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „ნერგის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.08.276; ფართობი 16.8 ჰა) გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბაღი (ჯამურად 52 730 ერთეული ნერგი), რომლის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად, მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 750 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან – 340 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩოლოქი მიედინება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 200 მეტრში, ხოლო მდ. ლელა – სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 440 მეტრში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის პროცესში შპს „ნერგი“ ისარგებლებს საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, შპს „ლურჯი მოცვის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ: 26.25.08.263) მოწყობილი სამელიორაციო სისტემის შემადგენელი ინფრასტრუქტურით. აღნიშნული ინფრასტრუქტურით საერთო სარგებლობაზე შპს „ლურჯი მოცვისა“ და შპს „ნერგის“ შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ლურჯი მოცვის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №510/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა არ დაეკვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ნერგის“ მოცვის ბაღის მოსარწყავად საჭირო წყალაღება გათვალისწინებულია შპს „ლურჯი მოცვის“ ტერიტორიაზე მოწყობილი

ჭაბურღილიდან, რომელზეც აღებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. ჭაბურღილის განთავსების GPS კოორდინატებია: X-737879, Y-4642492. ჭაბურღილიდან აღებული წყალი 430 მეტრი სიგრძისა და 200 მმ დიამეტრის მქონე მაგისტრალური მილსადენით უკავშირდება შპს „ლურჯი მოცვის“ ტერიტორიაზე არსებულ 3 500 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე წყლის ღია რეზერვუარს (GPS კოორდინატები: X-738112; Y-4642317). წყალშემკრები რეზერვუარიდან წყალი თვითღინებით გადადის სატუმბ სადგურში, სადაც განთავსებულია ორი ერთეული ტუმბო (თითოეული 10 ტ/სთ), რომლის საშუალებით სარწყავი წყალი, 15 მეტრი სიგრძისა და 220 მმ დიამეტრის მქონე მილით, მიეწოდება ფერტიგაციის რეზერვუარს (GPS კოორდინატები: X-738068; Y-4642332), რომელიც ასევე წარმოადგენს შპს „ლურჯი მოცვის“ ტერიტორიაზე გათვალისწინებული სამელიორაციო სისტემის შემადგენელ ინფრასტრუქტურას. ფერტიგაციის რეზერვუარიდან მოცვის ნარგავებამდე მილსადენი (999 მეტრი მაგისტრალური და 1 938 მეტრი დამხმარე) მიუყვება შპს „ნერგის“ საკუთრებაში არსებულ საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრის გასწვრივ. აღნიშნული მილსადენები განთავსებულია 50 სმ სიღრმის მქონე ტრანშეაში და გადის ბაზოკვლების ბოლოებთან, სადაც უერთდება ბაზოკვლებში არსებულ 69 066 მეტრი სიგრძის (დიამეტრი – 16 მმ) მქონე წვეთოვან მილებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა საჭიროა სეზონურად, 9 თვის (მარტი-ნოემბერი) განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა შეადგენს წელიწადში 31 638 მ<sup>3</sup>-ს. სარწყავად აღებული წყლის მაქსიმალური მოცულობა თვეების მიხედვით შეადგენს 6 327.6 მ<sup>3</sup>-ს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მოცვის ბაღის მოსარწყავად გათვალისწინებული სამელიორაციო სისტემა უკვე მოწყობილია და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ვინაიდან, სამელიორაციო სისტემა წარმოადგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციას, ვინაიდან, შპს „ნერგის“ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია მხოლოდ მაგისტრალური მილსადენი და კომპანია ისარგებლებს შპს „ლურჯი მოცვის“ ტერიტორიაზე მოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტებით, შპს „ნერგის“ სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე ადგილი ექნება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას (გამოყენებული სასუქების და ქიმიკატების ტარა), რომელიც შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და იგი არ წარმოადგენს ცხოველებისათვის ხელსაყრელ საარსებო გარემოს. საპროექტო

ტერიტორიაზე ფიქსირდება ბუჩქოვანი მცენარეები, რომლებიც განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ქმნის ცოცხალ ღობეს. დოკუმენტის თანახმად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ნერგის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნერგის“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნერგის“ და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნერგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

